



პროექტ აფინანსებს  
ევროკავშირი



პროექტ ახორციელებს  
ევროპის სახლი

## პრესრელიზი

### მოხალისეობის ხელშეწყობა საქართველოში. შევიტანოთ წვლილი საერთო საქმეში!

თბილისი, 21.02.2012. მოხალისეობის ხელშეწყობა საქართველოში ევროპის სახლის პროექტია, რომელიც ხორციელდება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN) თანამშრომლობით. პროექტი წარიმართა მოხალისეობის ევროპული წლის ეგიდით და მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ევროპელი მოხალისეებიც.

ეს არის პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია მოხალისეობასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. პროექტის ამოცანას შეადგენს აგრეთვე ურთიერთდახმარების, ნებაყოფლობითი მუშაობის ძველი ქართული ტრადიციის - ნადის გაგრძელება და დღევანდელი ყოფისათვის მისი მიზანშეწონილობისა და ღირებულების წარმოჩენა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა დასუფთავების სამი მასშტაბური აქცია ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე.

დასუფთავების პირველი ღონისძიება გაიმართა 30 ივლისს, სოფელ გერგეტის მიდამოებში. მასში მონაწილეობა მიიღო ასამდე მოხალისემ თბილისიდან, სტეფანწმინდიდან და გერგეტიდან. მომდევნო აქცია გაიმართა 10 სექტემბერს. ოთხმოციოდე მოხალისემ მონაწილეობა მიიღო არმაზციხის (ბაგინეთი) ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებში და დაასუფთავა ე. წ. კაკლოვანის მიდამოები, შიო-მღვიმის მონასტრის გზაზე. დასუფთავების მესამე აქცია ჩატარდა 6 ნოემბერს, კახეთში, ჯერ ძველი შუამთის, შემდეგ კი უჯარმის ციხე-ქალაქისა და ჯვარპატიოსნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მასში კვლავ ასამდე მოხალისემ მიიღო მონაწილეობა.

პროექტის მეოთხე ღონისძიება დაგეგმილია 23 და 24 თებერვალს და ითვალისწინებს გარემოს დაცვის საკითხებზე სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებას მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით. ინტერაქტიული ხასიათის შემცნებით სესიების ჩასატარებლად შერჩეულ იქნა თბილისის გარეუბანში მდებარე 207-ე საჯარო სკოლა. ყოველდღიური მოხმარების საგნები, მყარი ნარჩენებისა და წყლის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, ბიომრავალფეროვნება - ეს ის საკითხებია, რომლებზეც მოსწავლეებს გაესაუბრებიან გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე ფრანგი მოგზაურები ამანდინ ბუკარი და ვილიამ ბარბონი.

